

ვარძიის სამონასტრო კომპლექსის გეოლოგია და ბუნებრივი საფრთხეები

ბეჟან თუთბერიძე

Bejan.tutberidze@tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
0186, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 13

ვარძიის ქვაში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი სამცხის პროვინციაში მდებარეობს, მდ მტკვრის მარცხენა მხარეს, თურქეთ-საქართველოს საზღვართან ახლოს, 1500მ. სიმაღლეზე. სამონასტრო კომპლექსი გამოკვეთილია მე-12 საუკუნის ბოლოს და მე-13 საუკუნის დასაყისში /1156-1203/; არის უნიკალური ძეგლი საქართველოს არქიტექტურაში.

სამონასტრო კომპლექსი და მისი მიმდებარე ტერიტორია აგებულია ვულკანოგენური და ვულკანოგენურ-დამალექი წარმონაქმნებით; ეს ნალექები ცნობილია „გოდერძის წყების“ სახელით და გვიან მიოცენ-ადრე პლიოცენურად თარიღდება. სამონასტრო კომპლექსი გამოკვეთილია „გოდერძის წყების“ პიროკლასტური ქვეწყების- ე.წ. „ვარძიის ტიპის“ ტუფების ფენაში. მიკროსკოპული კვლევით ტუფებში გამოიყოფა: კრისტალოკლასტური, ვიტრო-კლასტური, ლითოკლასტური და მათი შერეული სახესხვაობები. ისინი ცნობილია როგორც იგნიმბრიტები. ტუფები ანდეზიტური და დაციტური შედგენილობის ტუფობრექციებით იფარება.

ვარძიის სამონასტრო კომპლექსის სტაბილურობას საფრთხეს უქნიდა და უქმნის დესტრუქციული ენდოგენური /მიწისძვრები, ტექტონიკური მოძრაობები/ და ეკზოგენური /ქარი, ტემპერატურის მკვეთრი ცვლებადობა, ხშირი ძლიერი წვიმები, გრუნტისა და თოვლის დნობის წყლები და სხვ/ გეოლოგიური პროცესები: სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს სეისმურად აქტიურ რეგიონში; 1283 წლის ძლიერი დამანგრეველი მიწისძვრისას კომპლექსის მთლიანი ფართის 2/3 ნაწილი დაზიანდა. საფრთხის მომტანია ტუფობრექციების წყებით აგებული, ნაპრაღთა სისტემით და ეროზიული ხეობებით დანაწევრებული კლდოვანი ციცაბო ფერდობები; ეროზიული პროცესები იწვევს წყების ამგები არაერთგვაროვანი ქანების შერჩევით გამოფიტვა, რითაც ჩქარდება ფერდობის მდგრადობა-წონასწორობის რღვევის პროცესი და იქმნება მეწყრებისა და ზვავების წარმოქმნის რეალურ პირობები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამონასტრო კომპლექსის ტუფებში ქიმიური გამოფიტვის პროცესის დინამიკა, რადგან პროცესის შედეგი -თიხები/მონტმორილონიტი/ მნიშვნელოვნად ასუსტებს ქანის სტრუქტურას და ტუფების დამლის რეალურ წინაპირობებს ქმნის.